

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) - ივანე ხაჩიძე

თანამდებობის დასახელება - ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

კომისიის დასახელება - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და იურიდიულ საკითხთა კომისიის

წევრი

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) პარტიული სიით

საანგარიშო პერიოდი - 2019 წლის ნოემბრიდან- 2020 წლის 1 ნოემბრამდე

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) რიგითი

I. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1. სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა 37

საკრებულოს სხდომებზე დასწრება 36

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 48

გეოგრაფიული ობიექტების სახელდება

სხდომის რაოდენობა 3

დასწრება 3

მათ შორის დროებით ჯგუფებში

სკვერები, პარკები, სპორტული მოედნები

სხდომის რაოდენობა 4

დასწრება 4

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა 3

ფრაქციის სხდომებზე დასწრება 3

4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის სახელით ინიცირებული იქნა საკრებულოს დადგენილების პროექტი - „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების წესი“, რომელიც საკრებულოს მიღებული იქნა 2019 წლის 6 დეკემბერს # 21 დადგენილებით და რომლის მიზანია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება, რაც ხელს შეუწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, სამოქალაქო აქტიურობას, სპორტის გავრცელებული სახეობებისათვის ტრადიციების შენარჩუნებასა და მათ პოპულარიზაციას.

5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

ჩემს მიერ საკრებულოს სხდომების დღის წესრიგით გათალისწინებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი იქნა მხარდაჭერილი, რომელსაც ხმა მისცა ჩვენმა პოლიტიკურმა უმრავლესობამ.

6. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა

7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა 30 და შეხვედრებზე მონაწილე

მოქალაქეთა რაოდენობა 500

8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები

- სოციალური საკითხები

- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება

- ახალგაზრდული და სპორტის საკითხები

-სასმელი წყლის პრობლემა

9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

მე, როგორც საკრებულოს წევრს, ყოველდღიურ რეჟიმში მიწევს მოქალაქეებთან ურთიერთობა და მათი პრობლემების მოსმენა, შესაბამისად, მერიის სამსახურებთან კონსულტაციის შემდეგ შეძლებისდაგვარად ხდება ყოველი პრობლემური საკითხის მოგვარება.

11. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

საკრებულოში შექმნილია რამოდენიმე დროებითი სამუშაო ჯგუფი, ხოლო ერთ-ერთის „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების“ დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე ვარ მე. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის საქმიანობის მიზანია, შეისწავლოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში (ქალაქ ლაგოდეხის გარდა) უბნების, ქუჩების, ჩიხებისა და შესახვევების საბჭოთა პერიოდის დასახელებები, შემდგომში ამ უბნების, ქუჩების, ჩიხებისა და შესახვევების სახელდების მიზნით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურიდან გამოთხოვილი იქნა სახელმწიფო გეოდეზიურ-კარტოგრაფიულ ფონდში დაცული ინფორმაცია, კერძოდ ტოპოგრაფიული გეგმები და რუკები. გასულ წელს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ ყველა სოფელში აქტიურად ხდებოდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან ქუჩების მიხედვით, რათა მომხდარიყო ქუჩების სახელდება, როგორც ისტორიული ფაქტორების, ასევე მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, მიმდინარე წელს კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ჯგუფმა შეაჩერა საქმიანობა მოსახლეობასთან შეხვედრების კუთხით.

რაც შეეხება მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირების არსებობას და მათი პრობლემების ახლოდან გაცნობას, მე პირადად მუდმივ რეჟიმში მაქვს შეხვედრები, სხვადასხვა სოფლებში, ადგილზე ვეცნობი მათ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად ვეხმარები მათ მოგვარებაში, იქნება ეს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობა თუ სხვა ყოფითი პრობლემა.

შევსების თარიღი 27.10.2020

წარდგენის თარიღი 27.10.2020

ხელის მოწერა